საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

დიდი ჟიურის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. ნ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.02.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №011/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1.1 2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 წარმოდგენილი საჩივარი №011/16 საპროცესო ეტაპზე განიხილა მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ. საჩივრის საპროცესო ეტაპზე განხილვისას, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა რ. რ.-მ საჩივრის ავტორს მომსახურება გაუწია სამოქალაქო საქმეზე, მაშინ, როდესაც მას საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია მინიჭებული ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ მოხდა ადვოკატის ბრალეული მოქმედებების გამო, რითაც საჩივრის ავტორის ინტერესებს მიადგა ზიანი, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი.

1.3 2016 წლის 20 მაისს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა და საქმე გადაეცა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს განხილვის კოლეგიისათვის გადასაცემად.

1.4 განხილვის ეტაპზე კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა რ. რ.-მ დაარღვია კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, რაც გულისხმობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.

1.5 განხილვის კოლეგიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ ადვოკატს შესაძლოა სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის ჩამორთმევა, ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლით და 2017 წლის 05 დეკემბერს, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით დისციპლინური საქმე №011/16 ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიას.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

2.1 ადვოკატი რ. რ. არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი.

2.2 ს. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2016 წლის 19 თებერვალს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015 - 2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2019 წლის 01 ივლისს ადვოკატმა რ. რ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, რომლითაც საჩივრის ავტორმა მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საჩივრის ავტორს, ს. ნ.-ს ადვოკატ რ. რ.-სთან არსებული დავა დასრულებული აქვს და მის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნია.

4.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“.

4.3 ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისგებლობის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით და მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან საჩივრის ავტორმა მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა და უარი თქვა თავის პრეტენზიაზე ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დაადგინა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №011/16 ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი:	/ანა ხურციძე/
კოლეგიის წევრი:	/ხათუნა ჩხაიძე/
კოლეგიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/კონსტანტინე გელაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ირაკლი კორძახია/
კოლეგიის წევრი:	/ია გაბედავა/
კოლეგიის წევრი:	/არჩილ ჩოფიკაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ბესარიონ ბოხაშვილი/